**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**აკადემიური საბჭოს სხდომის**

**ოქმი № 35**

**2010 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი**

**დღის წესრიგი:**

1. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის გარდამავალი დებულების განხილვა, დამტკიცება და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;

2. დოქტორანტურის სტანდარტში და სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა და დამტკიცება;

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური საქმიანობის მეგზურის გამოყენების წესში დასამატებელი საკითხების განხილვა და დამტკიცება (მასწავლებლების მოწვევა, მეგზური სამეცნიერო პროექტის შესახებ, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადის ფორმა);

4. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების განხილვა და დამტკიცება;

5. სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი უცხო ენები (თარგმანები და ტერმინოლოგია)“ განხილვა;

6. ფაკულტეტზე - საინჟინრო კოლეჯი, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება;

7. 2010 წლის ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება;

8. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე ინსტიტუტებისა და ცენტრების შექმნის საკითხის განხილვა და დამტკიცება.

9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ანგარიში და 2010 წლის განმავლობაში განსახორციელებელი გეგმები საგანმანათლებლო კვლევითი პროგრამის ფარგლებში;

10.ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პატრიკ ჯოზეფ ჰიკისათვის, მწერლის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ვლადიმის ბუკოვსკისათვის, ჟურნალისტ ვალერია ნოვოდვორსკაიასათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მერაბ სვანაძე – სხდომის მდივანი;
3. ნელი წიბახაშვილი;
4. გურამ ყიფიანი;
5. დავით მიქელაძე;
6. მალხაზ მაყაშვილი.

***საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.***

***2010 წლის 11 იანვრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:***

1. **დამტკიცდეს -** სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის გარდამავალი დებულება და წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

2. **დამტკიცდეს** - დოქტორანტურის სტანდარტში ცვლილება მე-10 მუხლის 1 პუნქტში შემდეგი რედაქციით: ჩარიცხვიდან 1 წელიწადში დოქტორანტმა, ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, განსახილველად უნდა წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომის პროექტი, რომელშიც აღწერილი იქნება:

• საკვლევი პრობლემატიკა;

• სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;

• მეთოდოლოგია;

• კვლევის მოსალოდნელი შედეგები;

• კვლევის გეგმა;

• ბიბლიოგრაფია;

• პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის არსებული მატერიალური საშუალებები კვლევითი პროექტის ბიუჯეტის სახით.

3. **დამტკიცდეს** - უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

4. **დამტკიცდეს** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური საქმიანობის მეგზურის გამოყენების წესში დასამატებელი შემდეგი მეგზურები:

მასწავლებლების მოწვევა, მეგზური სამეცნიერო პროექტის შესახებ, სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის განაცხადის ფორმა.

5. **დამტკიცდეს** - გამოცხადდეს კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ადმინისტრაციულ და აკადემიურ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, CV, აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. კონკურსი გამოცხადდეს 2010 წლის 18 თებერვალს, საბუთების მიღება დაიწყოს 2010 წლის 19 თებერვლიდან 2010 წლის 12 აპრილის ჩათვლით, განაცხადების განხილვა მოხდება 2010 წლის 12 აპრილიდან 10 მაისამდე, არჩევნები ჩატარდეს 2010 წლის 10 მაისს. საბუთების ჩაბარება მოხდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში (ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5) და შემდეგ გადაეცეს საარჩევნო კომისიას.

6. **დამტკიცდეს** - შეთავაზებულ იქნეს პროფ. ქეთევან ჯაშისათვის, რომ პროგრამა „გამოყენებითი უცხო ენები (თარგმანები და ტერმინოლოგია)“ განხორციელდეს, როგორც სასერტიფიკაციო პროგრამა.

7. **დამტკიცდეს** - ფაკულტეტზე- საინჟინრო კოლეჯი, გამოცხადდეს 2010 წლის 12 იანვრიდან აკადემიური კონკურსი ერთ ასოცირებულ პროფესორზე. საკონკურსო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: 1. პროფ. გიგი თევზაძე. 2. პროფ. სერგო რატიანი 3. პროფ. სიმონ ჯანაშია

8. **დამტკიცდეს** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.

9. **დამტკიცდეს** - მიენიჭოს საპატიო დოქტორის წოდება ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს პატრიკ ჯოზეფ ჰიკს. მწერალს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს ვლადიმირ ბუკოვსკის და ჟურნალისტ ვალერია ნოვოდვორსკაიას.

10.**დამტკიცდეს -** სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე შეიქმნას ინსტიტუტები და კვლევითი ცენტრები: ***ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტი - დირექტორებით: დავით მიქელაძე და რევაზ სოლომონია, ეკოლოგიის ინსტიტუტი - დირექტორებით: ნათია კოპალიანი, ოთარ აბდალაძე და დავით თარხნიშვილი. ცოდნის ეკონომიკის ინსტიტუტი - დირექტორი გიგი თევზაძე, გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტი - დირექტორი მალხაზ მაყაშვილი, მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტი - დირექტორი გიგა ზედანია, შედარებითი ლიტერატურის***

*ინსტიტუტი - დირექტორი ბელა წიფურია, ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტი - გიორგი ხიმშიაშვილი, თეორიული ფიზიკის ინსტიტუტი - დირექტორი გია მაჩაბელი, ბიოფიზიკის და ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრი - დირექტორი გიორგი ჯაფოშვილი, ძილ-ღვიძილის ციკლის შემსწავლელი თენგიზ ონიანის ლაბორატორია - დირექტორი ნიკოლოზ ონიანი, ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი- დირექტორი ნინო დობორჯგინიძე.*

11.**დამტკიცდეს** წარმოდგენილი სახით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის ანგარიში და 2010 წლის განმავლობაში განსახორციელებელი გეგმები საგანმანათლებლო კვლევითი პროგრამის ფარგლებში;

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მერაბ სვანაძე